## ხელშეკრულება № 16
## სახელმწიფო შესყიდვისშესახებ
## (საქონლის შესყიდვა)

ქ. თბილისი 03.03.2014 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი 62-ე საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მ.შ. თ. მალაზონიას სახით და მეორეს მხრივ ი/ მეწარმე „ზაზა დიასამიძე".ზ. დიასამიძის სახით. ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის სახსრებით ცარცის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკება. /CPV30100000 /

### 2.შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ცარცის შესყიდვა. (იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მრავალი დასახელების საქონელი, ხელშეკრულებას თან უნდა დაერთოს შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი (მაგ; ინვოისის სახით), როგორც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი).

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი ერთი ლარი(სიტყვიერად)

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს ასსამოც ლარს.დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. (შესყიდვის ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, საგარანტიო მომსახურების ვადის მითითება).

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ათი სიტყვიერად) კალენდარული დღის განმავლობაში. (საქონლის მიწოდების ეტაპობრივი ვადების შემთხვევაში მიწოდების გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა).

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი შარტავას 20

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით. (ხაზი გაუსვით.)

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ათი საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს ათი (სიტყვიერად) დღისა;
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 15 მარტი.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური

მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი

შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს (ლამზირა მელქაძე, ქ. თბილისის სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 15. სხვა პირობები

15..1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი მიმწოდებელი:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი; |
|---|---|
| სსიპ 62-ე სკოლა | ი/მ ზაზა დიასამიძე |
| | სს ლიბერთი ბანკი |
| . ქ.თბილისი შარტავას 20 | |
| კოდი: სს კორ სტანდარტ ბანკი | ბანკის კოდი LBRTGE22 |
| ბანკის კოდი.KSBGGE22 | |
| ა/ა GE10KS0000000360800576 | GE52LB0112189022584000 |
| ს/კ კოდი: 211351605 | ს/კ 47001001608 |
| დირექტორის მ.შ. თ. მალაზონია | დირექტორი ზ.დიასამიძე |

კორექტირების თარიღი: 05/03/2014

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0104226654 |
|---|---|---|

2 04/03/2014
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3 14:05:19
დრო (საათი, წუთი)

| 4 | ზაზა დიასამიძე | 47001001608 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლა | 211351605 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

7 ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ. #7
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8 ქ. თბილისი შარტავას ქ.#20
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9 ხელბარგი
ტრანსპორტირების სახე

10 X
სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცარცი დოლფინი | 372 | ცალი | 160.0000 | 1.0000 | 160.0000 |
| 2 | საქაღალდე | 9 | ცალი | 10.0000 | 0.4000 | 4.0000 |
| 3 | ფაილი | 2 | ცალი | 30.0000 | 4.0000 | 120.0000 |

13 284 - ორას ოთხმოცდაოთხი ლარი და ნული თეთრი
მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14
გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15
მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16
ხელმოწერა

17
ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩაბარების
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 07/03/2014, 11:16:38

|◀ ◀ 1 of 1 ▶ ▶|

KSB კორ სტანდარტ ბანკი
კორ-სტანდარტ ბანკი, ქ. თბილისი 0103, ქ. წამებულის 3
ტელ: (995 32) 507700, 507711
ფაქსი: (995 32) 507707

## საგადასახადო დავალება N 427480

თარიღი 05.03.2014

გადამხდელი სსიპ ქალაქ თბილისის N 62 საჯარო სკოლა

საიდენტ. კოდი 211351605

გადამხდელის ანგარიში GE10KS0000000360800576

გადამხდელის ბანკი სს "კორ სტანდარტ ბანკი" ბანკის კოდი KSBGGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება სსიპ ქალაქ თბილისის N 62 საჯარო სკოლა

211351605

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი

მიმღები ი/მ "ზაზა დიასამიძე"

საიდენტ. კოდი 47001001608

მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი GE52LB0112189022584000

LBRTGE22

მიმღები ბანკი/ხაზინა სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი

გადახდის დანიშნულება საკანცელარიო საქონლის საფასური

დამატებითი ინფორმაცია

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი ____________ ბ.ა.

მთ. ბუღალტერი ____________

თანხა

236.00

GEL

თანხა სიტყვებით

ორასოცდათექვსმეტი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი 05.03.2014

შესრულების თარიღი 05.03.2014

KSB კორ სტანდარტ ბანკი | დაბეჭდილია ინტერნეტ-ბანკიდან PRINTED VIA INTERNET BANK KSBGGE22

1 of 1

KSB კორ სტანდარტ ბანკი

კორ-სტანდარტ ბანკი, ქ. თბილისი 0103, ქ. წამებულის 3
ტელ: (995 32) 507700, 507711
ფაქსი: (995 32) 507707

## საგადასახადო დავალება N 427626

თარიღი 05.03.2014

გადამხდელი სსიპ ქალაქ თბილისის N 62 საჯარო სკოლა
საიდენტ. კოდი 211351605
გადამხდელის ანგარიში GE10KS0000000360800576
გადამხდელის ბანკი სს "კორ სტანდარტ ბანკი" ბანკის კოდი KSBGGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
დასახელება სსიპ ქალაქ თბილისის N 62 საჯარო სკოლა
211351605
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი

მიმღები ი/მ" ზაზა დიასამიძე"
საიდენტ. კოდი 47001001608
მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი GE52LB0112189022584000
LBRTGE22
მიმღები ბანკი/ხაზინა სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი

გადახდის დანიშნულება ცარცის საფასური
დამატებითი ინფორმაცია

თანხა
48.00
GEL
თანხა სიტყვებით
ორმოცდარვა ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები
ბანკში შემოსვლის თარიღი 05.03.2014
შესრულების თარიღი 05.03.2014

ხელმოწერები:
ხელმძღვანელი ____________
მთ. ბუღალტერი ____________

ბ.ა.

KSB კორ სტანდარტ ბანკი | დაბეჭდილია ინტერნეტ-ბანკინგით PRINTED VIA INTERNET BANK KSBGGE22